საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 2643/02

"16" 12 2016

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 110[1] მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის გადამუშავებულ პროექტსა და ბიუჯეტის შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტს, ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე გამოთქმული შენიშვნების თაობაზე და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი: „607" ფურცელზე

პატივისცემით
ზურაბ პატარაძე

09-01-08/05
16 12 2016
5 ფურცელი

09-02-15/514
01: 1 607
16 12 2016

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 10
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 10. Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის
განხილვის პროცედურის დაწყების
შესახებ

ოქმი 7 | 20 დეკემბერი 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტიო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ავტორი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

ინიციატორი

საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია

წამყვანი კომისია

16,12,2016 წელი

შემოსვლის თარიღი

წამყ. კომისია: 23.12.2.16
სხვა კომისიები: 22.12.2016

საკომისიო მოსმენის ვადა

რიგგარეშე სესია

სხდომაზე განხილვის თარიღი

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია;
განათლების მეცნიერების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია;
საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია;
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია.

კომისია რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:

უმაღლესი საბჭოს კომისიებსა და ფრაქციებში დაიწყოს პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე *დავით გაბაიძე*

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 328

2016 წლის 16 დეკემბერი ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 23-ე მუხლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1–ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი რამაზ ბოლქვაძე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ზურაბ პატარაძე

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (გაზეთი „აჭარა“, N38, 08-12.04.2010) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-17[1] მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:
   „ე) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.“.
2. მე-19 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19[1] მუხლი:

„მუხლი 19[1]. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

1. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში შეიძლება შეიქმნას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხებს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს შესაბამისი საფინანსო ორგანო.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

4. თუ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საფინანსო ორგანოს წარდგინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თანხის გამოყოფის თაობაზე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

აჭარის ავტონომიურიმ რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე *ზურაბ პატარაძე*

ჩაქვი,
---- დეკემბერი 2016
№ ----------

განმარტებითი ბარათი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტი მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების (მუხლი 89[1], მუხლი 91[1]) გათვალისწინებით, შესაბამისი რეგულაციის ასახვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის შემუშავების მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე საბიუჯეტო პროცესის გარკვეულ ეტაპზე სხვადასხვა სახის რეგულაციების დაწესება;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შექმნის შესაძლებლობას, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნება რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხის გამოყოფა;

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ იწვევს დამატებით ხარჯებს.;

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტი არ გამოიწვევს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) კანონისპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

არ იქონიებს გავლენას;

ბ.ე) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს;

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს;

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს;

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს;

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ასეთი არ არსებობს;

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი

კანონის პროექტის ავტორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი

კანონის პროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

იმ მუხლის მოქმედი რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 17[1]. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები

1. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები არის წლიურ ბიუჯეტში პირველი თანრიგის კოდით გათვალისწინებული ასიგნება, რომელიც ცალკეულ კოდებად მოიცავს:

ა) ვალდებულებების მომსახურებას და დაფარვას;

ბ) რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს;

გ) წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს;

დ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემ ტრანსფერებს.

2. საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების სხვა კატეგორიები შესაძლებელია განისაზღვროს წლიური ბიუჯეტით.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ფონდების გარდა, სხვა საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების განმკარგავი განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (ინიციატორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე) საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა 2016 წლის 16 დეკემბერს.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაიწყო განხილვის პროცედურა ინიციატივაზე, წამყვან კომისიად განისაზღვრა საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია, ხოლო საკომისიო განხილვის ვადად 23,12,2016 წელი.

წამყვანი კომისიის, სხვა კომისიებისა და აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნები უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში შემოვიდა ბიუროს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადების დაცვით.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით საკითხი შევიდა უმაღლესი საბჭოს 27 დეკემბრის რიგგარეშე სესიაზე განსახილველად.

ინიციატივა პლენარულ სხდომაზე წარდგენილია რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საპროცედურო მოთხოვნების შესაბამისად.

დეპარტამენტის უფროსი: /გიორგი ბერიძე/

26.12.2016 წელი

საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის ინფორმაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. (ინიციატორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე) საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში დარეგისტრირდა 2016 წლის 16 დეკემბერს.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაიწყო განხილვის პროცედურა ინიციატივაზე, წამყვან კომისიად განისაზღვრა საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია, ხოლო საკომისიო განხილვის ვადად 23,12,2016 წელი.

წამყვანი კომისიის, სხვა კომისიებისა და აპარატის იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის დასკვნები უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტში შემოვიდა ბიუროს გადაწყვეტილებით დადგენილი ვადების დაცვით.

უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით საკითხი შევიდა უმაღლესი საბჭოს 27 დეკემბრის რიგგარეშე სესიაზე განსახილველად.

ინიციატივა პლენარულ სხდომაზე წარდგენილია რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული საპროცედურო მოთხოვნების შესაბამისად.

დეპარტამენტის უფროსი: /გიორგი ბერიძე/

26.12.2016 წელი